

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო

სარჩევი

1. მიზანი
2. ტერმინები
3. დონეები და კვალიფიკაციები
4. აღმწერები
5. უმაღლესი განათლების ფორმალური ასპექტები
 - 5.1. კრედიტები
 - 5.2. საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოყალიბება და კვალიფიკაციის სახელწოდების განსაზღვრა

1. მიზანი

- ა) კვალიფიკაციების აღწერა, მათი კლასიფიცირება სწავლის შედეგებითა და მათ შორის ურთიერთკავშირის გაგების გაადვილება;
- ბ) განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
- გ) საერთაშორისო დონეზე კვალიფიკაციების თავსებადობის, შესადარობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- დ) მოზილობის ხელშეწყობა კვალიფიკაციებისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების ურთიერთალიარების პროცესის გაადვილების მეშვეობით;
- ე) მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა.

2. ტერმინები

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო - დოკუმენტი, რომელიც აღმწერის მეშვეობით ახდენს საქართველოში არსებული კვალიფიკაციების კლასიფიცირებას დონეების მიხედვით, თანამიმდევრული და ურთიერთდაკავშირებული გზით.

კვალიფიკაცია - კვალიფიკაციის მინიჭების უფლების მქონე დაწესებულების მიერ გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სწავლის შედეგის მიღწევას საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის ან არაფორმალური განათლების აღიარების მეშვეობით.

კვალიფიკაცია - სწავლის შედეგი, რომელიც მიიღწევა საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის გზით ან დგინდება არაფორმალური განათლების აღიარებით და დასტურდება კვალიფიკაციის მინიჭების უფლების მქონე დაწესებულების მიერ გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით.

დონე - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სტრუქტურული ელემენტი, რომელიც აერთიანებს აღმწერებს და მათ შესაბამის ტიპურ კვალიფიკაციებს

აღმწერი - განზოგადებული „სწავლის შედეგი,“ რომელიც კვალიფიკაციის ჩარჩოს დონეს აღწერს ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციებით.

ცოდნა - სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ფაქტები, პრინციპები, თეორიები, თეორიული და პრაქტიკული მეთოდები. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიზნებისათვის ცოდნა აღიწერება ცოდნა - გააზრებით.

უნარი - კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიზნებისათვის უნარები აღიწერება ცოდნის გამოყენების (შემეცნებითი ან/და პრაქტიკული), შეფასებისა და კომუნიკაციის უნარებით.

კომპეტენცია - ცოდნის, უნარებისა და პერსონალური, სოციალური ან/და მეთოდოლოგიური შესაძლებლობების გამოყენება, როგორც სამუშაო ან სასწავლო სიტუაციაში, ასევე პროფესიული და პიროვნული განვითარებისათვის. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიზნებისათვის კომპეტენციები აღიწერება ავტონომიურობითა და პასუხისმგებლობით

3. დონეები და კვალიფიკაციები

დონე	კვალიფიკაცია
1	საბაზო უნარების სერტიფიკატი* საბაზო ზოგადი განათლების ატესტატი* (ალტერნატიული კურიკულუმით)
2	საბაზო ზოგადი განათლების ატესტატი
3	დაწყებითი პროფესიული განათლების დიპლომი ქართული ენის სერტიფიკატი *
4	სრული ზოგადი განათლების ატესტატი საშუალო პროფესიული განათლების დიპლომი ქართული ენის სერტიფიკატი
5	უმაღლესი პროფესიული განათლების დიპლომი ან ასოცირებული ხარისხი*
6	ბაკალავრი მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი
7	მაგისტრი დიპლომირებული მედიკოსი დიპლომირებული სტომატოლოგი პედაგოგიური განათლების დიპლომი*
8	დოქტორი

* მიმდინარეობს მუშაობა /გასათვალისწინებელი კვალიფიკაციები

4. აღმწერები

კვალიფიკაციის ჩარჩოს დონეები აღწერილია ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ტერმინებით.

დონე	ცოდნა	უნარი	კომპეტენცია
1	საბაზო ზოგადი ცოდნა და მისი გააზრება	<p>მარტივი და ერთგვაროვანი დავალების შესრულება სათანადო უნარების გამოყენებით. ამ პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა და შესარულებული სამუშაოს შეფასება.</p> <p>მარტივ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაზო უნარების გამოყენება; მარტივ ერთგვაროვან საკითხებზე უცხოურ ენაზე კომუნიკაცია, ინფორმაციის მარტივი და პირდაპირი გაცვლის მეშვეობით.</p>	სწავლა ან/და საქმიანობა ერთგვაროვან გარემოში უშუალო ზედამხედველობის ქვეშ.
2	სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს საბაზო ცოდნა და მისი გააზრება	<p>სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს შესაბამისი საბაზო შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენება დავალების შესასრულებლად;</p> <p>ნაცნობი პრობლემების გადასაჭრელად ნაცნობი მონაცემების მოძიება, შერჩევა, გაანალიზება;</p> <p>საკუთარი საქმიანობის შესახებ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. უცხოური ენის ზღვრულ დონეზე ფლობა (კომუნიკაცია უცხოურ ენაზე ყოველდღიურ, ნაცნობ საკითხებზე).</p>	სწავლა ან/და საქმიანობა ერთგვაროვან გარემოში ზედამხედველობის ქვეშ და გარკვეული დამოუკიდებლობით.
3	სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა და მისი გააზრება	<p>სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსთვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრის გამოყენება დავალებების შესასრულებლად და სათანადო მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების შერჩევა და გამოყენება;</p> <p>გამოკვეთილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის სათანადო წყაროების მოძიება, ანალიზი; შესაბამის სტანდარტთან მიმართებით საკუთარი საქმიანობის შეფასება;</p> <p>ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია სწავლასა და საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე; სათანადო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება; კომუნიკაცია უცხოურ ენაზე ყოველდღიურ, ნაცნობ საკითხებზე, მათ შორის, საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის გამოყენებით.</p>	სწავლის ან/და საქმიანობის სფეროში დავალებების შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღება.
4	სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ზოგადი ცოდნა და	<p>სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება;</p> <p>სპეციფიკური პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის მოძიება, მისი კრიტიკულად</p>	პროგნოზირებად, მაგრამ ცვალებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში ინსტრუქციების მეშვეობით თვითმენეჯმენტის განხორციელება/საკუთარი საქმიანობის მართვა, ასევე მიმდინარე საქმიანობის

	მისი გააზრება	გააზრება, სათანადო მიდგომის შერჩევა, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და დასაბუთება; ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ზოგად საკითხებზე, მათ შორის, სათანადო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით, ასევე უცხოურ ენაზე.	პროცესზე ზედამხედველობა და გარკვეული პასუხისმგებლობის აღება სწავლის ან/და საქმიანობის შეფასებასა და გაუმჯობესებაზე
5	სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს სპეციალიზირებული, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და მისი შესაძლებლობების (საზღვრების) გააზრება	სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება; მკაფიოდ განსაზღვრული აბსტრაქტული და კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად მონაცემების იდენტიფიცირება, მათი ანალიზი და შეფასება; იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მრავალმხრივად გამოყენება. პირად და პროფესიულ საკითხებზე უცხოურ ენაზე კომუნიკაცია გარკვეული გაწაფულობით.	დაგეგმვის და მართვის გარკვეული ფუნქციების საკუთარ თავზე აღება ისეთ სამუშაო ან/და სასწავლო გარემოში, სადაც მოსალოდნელია არაპროფნოზირებადი ცვლილებები; საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა.
6	სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას	სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენება კომპლექსური პრობლემების გადასაჭრელად; კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემების ან/და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით და შეფასება, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის სოციალურ სამეცნიერო და ეთიკურ საკითხებს. იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ინფორმაციის გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.	კომპლექსური და განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა; არაპროფნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში პასუხისმგებლობის აღება; საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.
7	სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა - გააზრება, რომლის ნაწილიც თანამედროვე	უცნობ და მულტიდისციპლინურ გარემოში კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება ან/და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი	კომპლექსური, არაპროფნოზირებადი, მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვა და ტრანსფორმირება ახალი

	<p>მიღწევებზეა დამყარებული და რომელიც (ხშირ შემთხვევაში კვლევით კონტექსტში) იძლევა ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას</p>	<p>მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;</p> <p>რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზი, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი და შეფასება რომელიც ასახავს ცოდნის გამოყენებასთან დაკავშირებულ სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის საკითხებს.</p> <p>საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური ეთიკის სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით.</p>	<p>სტრატეგიულ მიდგომების მეშვეობით;</p> <p>წვლილის შეტანა პროფესიულ ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში; უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა.</p>
<p>8</p>	<p>სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით განახლებული ცოდნის ფარგლების გააზრება.</p>	<p>ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში;</p> <p>ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;</p> <p>არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში ახალი ცოდნის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა და გადაცემა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე.</p>	<p>მართვის, ინოვაციურობის, ავტონომიურობის, სამეცნიერო და პროფესიული ერთიანობის დემონსტრირება; უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების მზაობა სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, კვლევის პროცესში.</p>

5. უმაღლესი განათლების ფორმალური ასპექტები

5.1. კრედიტები

დონე 5 - მოკლე ციკლი - 120

დონე 6 - ბაკალავრიატი - არანაკლებ 240
 მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი - 60

დონე 7 - მაგისტრატურა - 60 / 90 /120
 - დიპლომირებული მედიკოსი - არანაკლებ 360
 - დიპლომირებული სტომატოლოგი - არანაკლებ 300

დონე 8 - დოქტორანტურა - არანაკლებ 180 (ან სამი-ხუთი წელი)

5.2. საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოყალიბება და კვალიფიკაციის სახელწოდების განსაზღვრა¹

1. მოკლე ციკლის უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

- ა) მოკლე ციკლის უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დაკავშირებულია საბაკალავრო პროგრამასთან.
- ბ) საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული სტანდარტის საფუძველზე და მოიცავს მნიშვნელოვან სასწავლო ან/და საწარმოო პრაქტიკას.
- დ) უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით მინიჭებული კვალიფიკაციის სახელწოდება ტერმინ – „ასოცირებული ხარისხთან“ ერთად მოიცავს პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ სპეციალიზაციას.

2. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები

- ა) პირველი საფეხურის აკადემიური, კვლევითი ორიენტაციის საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია მეცნიერების გარკვეული მიმართულებით სტუდენტის მომზადებაზე. სტუდენტს შეუძლია ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 120 კრედიტი) და დამატებითი სპეციალობის (სასურველია 60 კრედიტი) კომბინირება შემდეგი სახით:
- ა) ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;
- ბ) ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;
- გ) ძირითადი და ორი დამატებითი სპეციალობა;
- პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს „ბაკალავრი“, კანონდებლობით განსაზღვრული მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.

- ბ) პირველი საფეხურის აკადემიური, პროფესიული ორიენტაციის საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია გარკვეული პროფესიისათვის სტუდენტის მომზადებაზე და პროგრამის არანაკლებ 75% მიმართულია შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევაზე. კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს „ბაკალავრი,“ კანონდებლობით განსაზღვრული მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.

3. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები:

- ა) მეორე საფეხურის კვლევითი სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტსა და დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შემუშავებულ სამაგისტრო ნაშრომს. კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს „მაგისტრი“, შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან/და სპეციალიზაციის მითითებით.

- ბ) მეორე საფეხურის აკადემიური, პროფესიული ორიენტაციის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სასწავლო და პრაქტიკულ/შემოქმედებით კომპონენტს. კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს „მაგისტრი“, შესაბამისი მიმართულების, დარგის ან/და სპეციალიზაციის მითითებით.

4. უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები:

- ა) მესამე საფეხურის კვლევითი სადოქტორო პროგრამის განხორციელების საფუძველია უსდ-ში მიმდინარე, დაფინანსებული კვლევა. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. იგი სრულდება დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე საკვალიფიკაციო ნაშრომის შემუშავებითა და საჯარო დაცვით. კვალიფიკაციის სახელწოდება არის „დოქტორი“ – მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.

- ბ) მესამე საფეხურის აკადემიური, პროფესიული ორიენტაციის სადოქტორო პროგრამა მოიცავს სასწავლო, პრაქტიკულ/შემოქმედებით და კვლევით კომპონენტებს. კომპონენტებს შორის თანაფარდობა განისაზღვრება უსდ-ს მიერ.

¹ აღნიშნული ნაწილი სასურველია გადავიდეს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებში.

პროგრამა სრულდება პრაქტიკაზე დაფუძნებული, დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე საკვალიფიკაციო ნაშრომის შემუშავებითა და საჯარო დაცვით, საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაცია მოიცავს ტერმინს „დოქტორი“ შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.

5. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამები და შესაბამისი კვალიფიკაციები განისაზღვრება კანონმდებლობით.